კინგსის მათემატიკის ოლიმპიადა - I ტური

მე-3 კლასი

ძირითადი სავარჯიშოები (40 ქულა):

1. გამოთვალეთ 3+5+7=
   A. 13 B. 15 C. 14
2. რომელია სწორი?
   A. 8+5=12 B. 6+9=15 C. 7+7=17
3. რომელია ცხრაზე მეტი?
   A. ათი B. შვიდი C. რვა
4. ამოარჩიეთ რიცხვი, რომელიც 13-ზე მეტია, მაგრამ 18-ზე ნაკლები:
   A. 4+4+4+4 B. 5+6 C. 4+7+8
5. რომელია ნაკლები 19-6-3 თუ 16+2-5?
   A.ტოლია B. 19-6-3 C. 16+2-5
6. ამოარჩიეთ უდიდესი (ყველაზე დიდი):
   A. თერთმეტს მივუმატოთ ხუთი
   B. ცხრამეტს გამოვაკლოთ ორი
   C. რვას მივუმატოთ ექვსი
7. ნიკას 17 ლარი აქვს. რამდენი ლარი დარჩება მას, თუ ის იყიდის 3 ცალ 5 ლარიან ბურთს?
   A. 3 ლარი B. 5 ლარი C. 2 ლარი
8. წიგნი რვეულზე 3 ლარით ძვირია. ალბომი კი 2 ლარით იაფია, ვიდრე წიგნი და რვეული ერთად. რა ღირს ალბომი, თუ რვეული 1 ლარი ღირს?
   A. 3 ლარი B. 2 ლარი C. 7 ლარი

ბონუს სავარჯიშოები (10 ქულა):

9. დაასახელეთ მიმდევრობის მე-13 წევრი:
   7, 2, 5, 9, 7, 2, 5, 9, 7 .....
   A. 2 B. 7 C. 9
10. ავთო ფურცელზე მორიგეობით ხატავდა ლურჯ და მწვანე ბურთებს. რა ფერია მე-4 ბურთი, თუ მე-7 ბურთი ლურჯია?
    A. მწვანე B. ლურჯი C. ვერ დავადგენთ